

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	ახალი ბერძნული ენა 2 (საფაკულტეტო) Modern Greek Language 2 (For non- specialists)
ავტორი (ავტორები)	სვეტლანა ბერიკაშვილი
ლექტორი (ლექტორები)	<p>სვეტლანა ბერიკაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, მოწვეული მასწავლებელი მობ. 599 157214, ელფოსტა: svetlana.berikashvili@tsu.ge</p> <p>მაკა ქამუშაძე, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი მობ.: 599 156090, ელფოსტა: maka.kamushadze@gmail.com</p> <p>ქეთევან ცინცაძე, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, მოწვეული მასწავლებელი მობ. 577 248848, ელფოსტა: keti.tsintsadze@tsu.ge</p> <p>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულება, ტელ: 2 25 32 20 ელფოსტა: institute@greekstudies-tsu.ge</p>
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	<p>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი</p> <p>ბაკალავრიატი</p> <p>საფაკულტეტო არჩევითი საგანი (ევროპული ენა)</p>
სასწავლო კურსის მიზნები	კურსის მიზანია, სტუდენტმა შეძლოს ბერძნულ ენაზე ხშირად ხმარებადი ფრაზებისაგან მარტივი წინადადებების შედგენა და გაგება. საყოფაცხოვრებო ხასიათის მოკლე საუბარში მონაწილეობა, შეკითხვის დასმა ან სხვის შეკითხვაზე პასუხის გაცემა.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	5 კრედიტი (125 საათი) სალექციო საათები 30 სთ. ჯგუფური მეცადინეობა 30 სთ (მათ შორის შუალედური გამოცდის 4 სთ.) შუალედური გამოცდის მომზადება 4-4 სთ (სულ 8), საბოლოო გამოცდის მომზადება 10 სთ, საბოლოო გამოცდის ჩაბარება 2 სთ. ლექცია-სემინარებისთვის მომზადება 45 სთ.
დაშვების წინაპირობები	ბერძნული ენა 1
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება სტუდენტმა იცის: ახალი ბერძნული ენა ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების ექვსდონიანი სისტემის A2 დონეზე;</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>

	<p>სტუდენტს შეუძლია: ახალბერძნულში ხშირად ხმარებადი ფრაზებისგან მარტივი წინადადებების შედგენა და გაგება; საყოფაცხოვრებო ხასიათის მოკლე საუბარში მონაწილეობა, შეკითხვის დასმა ან სხვის შეკითხვაზე პასუხის გაცემა; მოკლე, მარტივი, კონკრეტული ტექსტების გაგება, რომლებიც ნაცნობ თემებს შეეხება და ხშირად ხმარებადი სიტყვებისგან შედგება; ყოველდღიურ თემებზე მარტივი ტექსტების დაწერა, პირადი ხასიათის მოკლე წერილების წერა;</p> <p>დასკვნის უნარი ახალი ბერძნული ენის გრამატიკის განმარტების უნარი მშობლიურ ენასთან მიმართებით;</p> <p>კომუნიკაციის უნარი საყოფაცხოვრებო ხასიათის მოკლე საუბარში ახალბერძნულად მონაწილეობის უნარი;</p> <p>სწავლის უნარი სპეციალური, ქართული და ახალბერძნული ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი;</p> <p>ღირებულებები დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;</p>												
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი												
სწავლების/სწავლის მეთოდები	<p>ლექცია/სემინარი/კოლოკვიუმი, ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მეთოდი, ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, აუდიო-ლინგვისტური მეთოდი, გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, ენის სწავლების კომპიუტერული მეთოდი (ბერძნულის სწავლების სპეციალიზირებული პროგრამა)</p>												
შეფასების კრიტერიუმები	<table border="1" data-bbox="577 1391 1481 1637"> <tr> <td>ლექციაზე/პრაქტიკუმზე დასწრება</td> <td>10</td> </tr> <tr> <td>პრაქტიკუმებში მონაწილეობა</td> <td>20</td> </tr> <tr> <td>I კოლოკვიუმის შედეგი</td> <td>15</td> </tr> <tr> <td>II კოლოკვიუმის შედეგი</td> <td>15</td> </tr> <tr> <td>საბოლოო გამოცდა: წერითი</td> <td>40</td> </tr> <tr> <td>საბოლოო შეფასება</td> <td>100</td> </tr> </table> <p>ლექციაზე/პრაქტიკუმზე დასწრების შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:</p> <p>9-10 ქულა - სტუდენტი ესწრებოდა ყველა ლექცია/პრაქტიკუმს, გაცდენილი აქვს მაქსიმუმ ორი საათი საპატიო მიზნით;</p> <p>7-8 ქულა - სტუდენტი ესწრებოდა ლექცია/პრაქტიკუმების 70%-ს;</p> <p>5-6 ქულა - სტუდენტი ესწრებოდა ლექცია/პრაქტიკუმების ნახევარს;</p> <p>3-4 ქულა - სტუდენტი დაესწრო ლექცია/პრაქტიკუმების 30%-ს;</p> <p>0-2 ქულა - სტუდენტი საერთოდ არ ესწრებოდა ლექცია/პრაქტიკუმებს ან მხოლოდ ორ საათს დაესწრო.</p>	ლექციაზე/პრაქტიკუმზე დასწრება	10	პრაქტიკუმებში მონაწილეობა	20	I კოლოკვიუმის შედეგი	15	II კოლოკვიუმის შედეგი	15	საბოლოო გამოცდა: წერითი	40	საბოლოო შეფასება	100
ლექციაზე/პრაქტიკუმზე დასწრება	10												
პრაქტიკუმებში მონაწილეობა	20												
I კოლოკვიუმის შედეგი	15												
II კოლოკვიუმის შედეგი	15												
საბოლოო გამოცდა: წერითი	40												
საბოლოო შეფასება	100												

პრაქტიკუმებში მონაწილეობაში იგულისხმება სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად მომზადებული მასალის ზეპირად წარმოდგენა. სტუდენტს ყოველ პრაქტიკულ მუშაობაში უწევს აქტივობის გამოვლენა. შეფასების მაქსიმალური ქულაა 20. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მასალის დამუშავების დონე და ბერძნულად წარმოდგენის უნარი. ასევე შეფასებისას გათვალისწინებული იქნება ტესტების შედეგები, რომლებსაც სტუდენტები პერიოდულად დაწერენ.

19-20 ქულა – სტუდენტს ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი, შეუძლია მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე. პასუხობს პროგრამასთან დაკავშირებულ დასმულ დამატებით შეკითხვებს;

15-18 ქულა – სტუდენტს ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა უმრავლესობა, შეუძლია მასალის სათანადო დონეზე გადმოცემა;

10-14 ქულა – სტუდენტი ერკვევა პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში;

3-9 ქულა - სტუდენტს ჩაბარებული აქვს საკითხების ნახევარზე მეტი დამაკმაყოფილებლად, ან კარგად აქვს ჩაბარებული პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მხოლოდ მცირე ნაწილი.

0-3 ქულა – სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან არც ერთი საკითხი არა აქვს ჩაბარებული დამაკმაყოფილებლად.

კოლოკვიუმების ანუ შუალედური გამოცდების შეფასება ხდება ტესტის საშუალებით, რომლის მაქსიმალური შედეგი 15 ქულაა. ტესტში წარმოდგენილია გავლილი მასალიდან სხვადასხვა გრამატიკული საკითხი. ძირითადად აქ შედის ისეთი დავალებები, როგორცაა: ზმნების, არსებითი სახელების, ნაცვალსახელების, რიცხვითი სახელების სწორი ჩასმა, ბრუნება, უღლება, ზედსართავი სახელები სქესების მიხედვით, ვნებითი გვარის ზმნების სწორი ფორმები, კითხვებზე პასუხი, ფრაზეოლოგიზმები, თარგმანი და სხვ. თითოეულ დავალებას მაქსიმუმ მინიჭებული აქვს 5 ქულა. (ტესტი შეიძლება იყოს 30ქულიანიც, მაშინ საბოლოო შედეგი გაიყოფა ორზე და სტუდენტს გაუფორმდება შესაბამისი ქულა 15 ქულიანი სისტემიდან გამომდინარე).

5 ქულა – პასუხი სწორია; სტუდენტს არა აქვს დაშვებული შეცდომა.

4 ქულა – პასუხი სწორია, სტუდენტს დაშვებული აქვს ერთი ან ორი უმნიშვნელო შეცდომა.

3 ქულა – პასუხი არასრულია; სტუდენტს დაშვებული აქვს ორი ან სამი უმნიშვნელო (ორთოგრაფიული) შეცდომა.

2 ქულა – პასუხი არასრულია; სტუდენტს დაშვებული აქვს სამი ან ოთხი შეცდომა.

1 ქულა – პასუხი ნაკლოვანია; სტუდენტს დაშვებული აქვს ოთხი ან ხუთი შეცდომა.

0 ქულა – პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

	<p>საბოლოო გამოცდა არის წერითი. მაქსიმალური ქულაა 40.</p> <p>გამოცდა არის ტესტი. ტესტი შედგება 8 საკითხისაგან, თითოეული საკითხი ფასდება 5 ქულიანი სისტემით.</p> <p>5 ქულა – პასუხი სწორია; სტუდენტს არა აქვს დაშვებული შეცდომა.</p> <p>4 ქულა – პასუხი სწორია, სტუდენტს დაშვებული აქვს ერთი ან ორი უმნიშვნელო შეცდომა.</p> <p>3 ქულა – პასუხი არასრულია; სტუდენტს დაშვებული აქვს ორი ან სამი უმნიშვნელო (ორთოგრაფიული) შეცდომა.</p> <p>2 ქულა – პასუხი არასრულია; სტუდენტს დაშვებული აქვს სამი ან ოთხი შეცდომა.</p> <p>1 ქულა – პასუხი ნაკლოვანია; სტუდენტს დაშვებული აქვს ოთხი ან ხუთი შეცდომა.</p> <p>0 ქულა – პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.</p> <p>გამოცდაზე დაშვების წინაპირობა 11 ქულა.</p>
<p>ძირითადი ლიტერატურა</p>	<ul style="list-style-type: none"> • Μαθαίνω την Ελληνική γλώσσα, Χρήστου Γ. Σιόντη, Πανεπιστήμιο Ιωαννίνων, Πρόγραμμα Interreg II, Ιωάννινα 2001. (დანართში - წიგნი) • Μαθαίνω την Ελληνική γλώσσα, βιβλίο ασκήσεων, Χρήστου Γ. Σιόντη, Πανεπιστήμιο Ιωαννίνων, Πρόγραμμα Interreg II, Ιωάννινα 2001. (დანართში - სავარჯიშოების რვეული) <p>აღნიშნული სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია თსუ, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალ ბერძნულ ბიბლიოთეკაში.</p>
<p>დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ახალბერძნულ-ქართული ლექსიკონი, სოფიო შამანიდის რედაქციით, თბილისი 2009. • Μ. Τριανταφυλλίδη, Νεοελληνική γραμματική, Οργανισμός Εκδόσεως Διδακτικών Βιβλίων, Αθήνα 2008. <p>კომპაქტ დისკები: Μαθαίνω την Ελληνική γλώσσα, Πανεπιστήμιο Ιωαννίνων, Μαργαρίτα, Πανεπιστήμιο Κρήτης.</p> <p>აღნიშნული სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია თსუ, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალ ბერძნულ ბიბლიოთეკაში.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია/პირობები</p>	

დანართი

ლ./პრ.	ლექციის / პრაქტიკუმის თემა	დასამუშავებელი ლიტერატურა
1	<p>VI თავი დიალოგი: Τι άρα είναι; ლექსიკა: საათის ცნობა შესაბამისი სავარჯიშოები</p> <p>დიალოგი: Πότε φεύγετε; ლექსიკა: კვირის დღეები</p> <p>შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>Μαθαίνω την Ελληνική γλώσσα, Χρήστου Γ. Σιόντη, Πανεπιστήμιο Ιωαννίνων, Πρόγραμμα Interreg II, Ιωάννινα 2001, გვ. 75-79. (შემდგომში წიგნი)</p> <p>Μαθαίνω την Ελληνική γλώσσα, βιβλίο ασκήσεων, Χρήστου Γ. Σιόντη, Πανεπιστήμιο Ιωαννίνων, Πρόγραμμα Interreg II, Ιωάννινα 2001, გვ. 63-65. (შემდგომში სავარჯიშოების რვეული)</p> <p>წიგნი, გვ. 80-83.</p> <p>აღნიშნულ ლექსიკაზე ტექსტების მოსმენა და შესაბამისი სავარჯიშოები დისკიდან: Μαργαρίτα 2.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 66-69.</p>
2	<p>გრამატიკა: έχω და είμαι ზმნების წარსული დროის ფორმა შესაბამისი სავარჯიშოები</p> <p>გრამატიკა: ორი მახვილის დასმა, რიგობითი რიცხვითი სახელები შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>წიგნი, გვ. 84-86.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 72-74.</p> <p>წიგნი, გვ. 86-90.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 75-76.</p>
3	<p>VII თავი დიალოგი: Θα ήθελα να πιά κάτι. გრამატიკა: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები κανένα, καμία, κανένα, განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლი შესაბამისი სავარჯიშოები</p> <p>დიალოგი: Στην καφετέρια. გრამატიკა: ადგილის ზმნიზედები, τελικό v-ის გაქრობა ბრალდებით ბრუნვაში შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>წიგნი, გვ. 91-93.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 77-79.</p> <p>წიგნი, გვ. 94-99.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 81, 84.</p>

<p>4</p>	<p>ტექსტი: Ο Κώστας ζει τώρα στα Γιάννινα გრამატიკა: მეორე უღლების ზმნები, ვნებითი გვარის ზმნების – κοιμάμαι, λπτάμαι, θπτάμαι, φοβτάμαι უღლება შესაბამისი სავარჯიშოები გრამატიკა: მამრობითი სქესის სახელების ბრუნება. შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>აღნიშნული ტექსტის მოსმენა დისკით. წიგნი, გვ. 99-100. სავარჯიშოების რვეული, გვ. 79-80. წიგნი, გვ. 101-102. M. Τριανταφυλλίδη, Νεοελληνική γραμματική, Οργανισμός Εκδόσεως Διδακτικών Βιβλίων, Αθήνα 2008, გვ. 82-83, 86. (შემდგომში გრამატიკის წიგნი) სავარჯიშოების რვეული, გვ. 84. სტუდენტებს დამატებით დაურიგდებათ ტესტები მამრობითი სქესის არსებითი სახელების ბრუნებაზე.</p>
<p>5</p>	<p>VIII თავი ტექსტი: Την άνοιξη ο καιρός είναι καλός. ლექსიკა: წელიწადის დროები, თვეები (I) შესაბამისი სავარჯიშოები კოლოკვიუმი</p>	<p>წიგნი, გვ. 103-106. სავარჯიშოების რვეული, გვ. 85-87. ტესტი შედგენილია გავლილი მასალის მიხედვით</p>
<p>6</p>	<p>კოლოკვიუმი დაშვებული შეცდომების ანალიზი. ტექსტი: Βρέχει όλη μέρα. ლექსიკა: ამინდი, ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები შესაბამისი სავარჯიშოები ტექსტი: Δελτίο καιρού ლექსიკა: წელიწადის დროები, თვეები (II) თემის დაწერა: ამინდის პროგნოზი.</p>	<p>წიგნი, გვ. 107-110. სავარჯიშოების რვეული, გვ. 88-89, 91. წიგნი, გვ. 111. აღნიშნულ ლექსიკაზე ტექსტების მოსმენა და შესაბამისი სავარჯიშოები დისკიდან: Μαργαρίτα 2.</p>
<p>7</p>	<p>გრამატიკა: მდედრობითი სქესის სახელების ბრუნება, რაოდენობითი რიცხვითი სახელების ένα, μία, ένα, τρεις, τρεις, τρία, τέσσερις, τέσσερις, τέσσερα ბრუნება. შესაბამისი სავარჯიშოები IX თავი დიალოგი: Στον μαανάη ლექსიკა: ბაზარი, ხილ-ბოსტნეული შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>წიგნი, გვ. 113-116. გრამატიკის წიგნი, გვ. 90-91. სავარჯიშოების რვეული, გვ. 92. სტუდენტებს დამატებით დაურიგდებათ ტესტები მდედრობითი სქესის არსებითი სახელების ბრუნებაზე. წიგნი, გვ. 117-119. აღნიშნულ ლექსიკაზე ტექსტების მოსმენა და შესაბამისი სავარჯიშოები დისკიდან: Μαργαρίτα 4. სავარჯიშოების რვეული, გვ. 93-95.</p>

8	<p>გრამატიკა: -ός, -ή, -ό, -ος, -α, -ο-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელების ბრუნება, ბრძანებითი კილოს წარმოება შესაბამისი სავარჯიშოები</p> <p>დიალოგი: Στο σουπερ μάρκετ ლექსიკა: მაღაზიები გრამატიკა: ზმნა ἀρέσει</p> <p>შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>წიგნი, გვ. 123-126.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 101, 105-108. წიგნი, გვ. 57, 64-65. აღნიშნულ ლექსიკაზე ტექსტების მოსმენა და შესაბამისი სავარჯიშოები დისკიდან: Μαργαρίτα 4. სავარჯიშოების რვეული, გვ. 100, 102-103.</p>
9	<p>X თავი</p> <p>დიალოგი: Ένα ποτήρι γαλλικό κρασί გრამატიკა: ეროვნების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების ბრუნება, დროის ზმნიზედები</p> <p>შესაბამისი სავარჯიშოები</p> <p>დიალოგი: Τι ρισόχα φορისσε; ლექსიკა: ტანსაცმელი</p> <p>შესაბამისი სავარჯიშოები როლური და/ან სიტუაციური თამაში თემაზე: ტანსაცმელი</p>	<p>წიგნი, გვ. 127-128, 135-136.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 109-111. წიგნი, გვ. 129-130.</p> <p>აღნიშნულ ლექსიკაზე ტექსტების მოსმენა და შესაბამისი სავარჯიშოები დისკიდან: Μαργαρίτα 4. სავარჯიშოების რვეული, გვ. 111.</p>
10	<p>დიალოგი: Τι χρώμα προτιμάς; ლექსიკა: ფერები</p> <p>შესაბამისი სავარჯიშოები</p> <p>გრამატიკა: საშუალო სქესის სახელების ბრუნება.</p> <p>კოლოკვიუმი</p>	<p>წიგნი, გვ. 131-133.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 112-116. წიგნი, გვ. 136-137.</p> <p>გრამატიკის წიგნი, გვ. 96-99. სტუდენტებს დამატებით დაურიგდებათ ტესტები საშუალო სქესის არსებითი სახელების ბრუნებაზე. ტესტი შედგენილია გავლილი მასალის მიხედვით</p>
11	<p>კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი</p> <p>XI თავი</p> <p>დიალოგი: Μένα σ' ένα διαμέρισμα შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>წიგნი, გვ. 139-142. სავარჯიშოების რვეული, გვ. 117-119.</p>

12	<p>დიალოგი: Μένα σ' ένα τριάρι ლექსიკა: ბინის აღწერილობა. შესაბამისი სავარჯიშოები დიალოგი: Στο ξενοδοχείο</p> <p>გრამატიკა: -ς, -ιά, -ύ-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელების ბრუნება შესაბამისი სავარჯიშოები როლური და/ან სიტუაციური თამაში თემაზე: ბინის აღწერილობა</p>	<p>წიგნი, გვ. 142-143.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 120-123. წიგნი, გვ. 144-147.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 124-126.</p>
13	<p>გრამატიკა: მამრობითი სქესის სახელების ბრუნების გამეორება, მოქმედებითი გვარის ნამყო უსრული დროის წარმოება. შესაბამისი სავარჯიშოები</p> <p>XII თავი ტექსტი: Στο θέατρο გრამატიკა: კნინობით-ალერსობითი ფორმების წარმოება. შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>წიგნი, გვ. 148-150.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 127-130. სტუდენტებს დამატებით დაურიგდებათ ტესტები ნამყო უსრული დროის წარმოებაზე.</p> <p>წიგნი, გვ. 151-152, 157-158.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 131.</p>
14	<p>ტექსტი: Το αρχαίο θέατρο გრამატიკა: წინდებულები, ზმნისწინები შესაბამისი სავარჯიშოები ტექსტი: Η Δαδώνη გრამატიკა: ზედსართავი სახელის ο πιας, η πιαλή, το πιαს ბრუნება, ზმნიზედა πιαს. შესაბამისი სავარჯიშოები</p>	<p>წიგნი, გვ. 153, 158-161.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 131-133. აღნიშნული ტექსტის მოსმენა დისკით. წიგნი, გვ. 154, 161-164.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 131-133.</p>
15	<p>ტექსტი: Το θέατρο σκιάων – ο Καραγκιόζης</p> <p>მართლწერის შემოწმება კარნახის საშუალებით. გავლილი მასალის გამეორება, შემაჯამებელი გამოკითხვა.</p>	<p>წიგნი, გვ. 156.</p> <p>სავარჯიშოების რვეული, გვ. 117-133</p>